აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№38 (24.918) შაბათი, 16 - 18 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

„ჩვენი მიზანი სოფლის მეურნეობის სფეროს გამოწვევების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების მოძიებაა“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. ინფორმაცია ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა

13-წევრიანი საბჭო სათათბირო ორგანოა, რომელშიც აგრარული და გარემოს დაცვის სფეროების სხვადასხვა დარგისა და მიმართულების მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური სპეციალისტები, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორში მომუშავე პროფესიონალები საზოგადოებრივ საწყისებზე, ანაზღაურების გარეშე ერთიანდებიან. საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე ხელმძღვანელობს.

საკონსულტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე განიხილეს ამავე საბჭოს დებულება. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული აქტივობები, რომელთა განხორციელებაც უახლოეს მომავალში დაიწყება. ფრიდონ ფუტკარაძის განცხადებით, საბჭოს შემდგომი ნაბიჯი კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრა იქნება, რაც გაცილებით ეფექტური მუშაობისა და შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

„ჩვენი მიზანი, კომიტეტისათვის, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, წინადადებების შემუშავება, განხილვა, რეკომენდაციების წარდგენა, აჭარის სოფლის მეურნეობის სფეროს გამოწვევების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების მოძიებაა“, - აღნიშნა სხდომაზე ფრიდონ ფუტკარაძემ. მანვე, სხვადასხვა საკითხზე მოსაზრებების, წინადადებების მოსმენის, რეკომენდაციების წარდგენისა და ცალკეულ გამოწვევაზე მსჯელობის პარალელურად, საბჭოს წევრებს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო.

ია შველიძე

კონფერენცია – აჭარის მუნიციპალიტეტებში მოწყვლადი ჯგუფებისათვის

პრევენციული ტიპის სოციალური პროგრამების დანერგვის მიზნით აჭარის უმაღლეს საბჭოში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა“, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით, ერთობლივი კონფერენცია გამართეს

კონფერენცია პროექტის - „მე მაქვს უფლება... ნახე, დაინახე, შეაფასე... პარტნიორობა ჩართულობით პოლიტიკის შესაქმნელად“ განხილვას დაეთმო, რომლის მიზანი აჭარის მუნიციპალიტეტებში მოწყვლადი ჯგუფებისათვის პრევენციული ტიპის სოციალური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობაა.

ა(ა)იპ „ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ ხელმძღვანელის - მაია ქათამაძის განცხადებით, პროექტი ადვოკატირების კამპანიის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია და მისი წარდგინება მაისშია დაგეგმილი. ღონისძიების მონაწილეებმა იმსჯელეს ბათუმსა და ზოგადად, აჭარაში აღნიშნული პროგრამების ხელშეწყობასა და საჭიროებებზე. გაიმართა დისკუსია.

კონფერენციაზე, რომელსაც აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, მუნიციპალიტეტების, საქართველოს სახალხო დამცველის აჭარის ორგანიზაციის, არასამთავრობო სექტორის, გენდერის მედიაცენტრის, სოციალური სამსახურებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობას მოწვეული ექსპერტი გააგრძელებს.

პროექტი საერთაშორისო ორგანიზაცია ASB Georgia-ს, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ აფხაზეთის (CHCA), კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის (KDRF) მიერ ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

მარი მიდასელი

კრიალოსა N იუსი

ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გადაცემული კითხვარის შესავსებად გასატარებელი ღონისძიებები განიხილეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა ყველა უწყების მაქსიმალური კოორდინაციისა და აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას, რათა კითხვარის შევსების პროცესი ეფექტიანად წარიმართოს და მოკლე ვადაში დასრულდეს. სხდომაზე აღინიშნა, რომ ევროკავშირის მხრიდან კითხვარის გადმოცემა ახალი ეტაპია ორმხრივ ურთიერთობაში.

* * *

ჩემი სურვილი იყო, რომ პარლამენტის თავმჯდომარის დელეგაცია ყოფილიყო მრავალპარტიული - გვქონდა საუბარი ოპოზიციის წარმომადგენლებთან და შევთავაზეთ, ყოფილიყო თანაბარი წარმომადგენლობა, თუმცა არ იყო თანხმობა, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უკრაინაში დაგეგმილ ვიზიტზე საუბრისას. შალვა პაპუაშვილის თქმით, რადას სპიკერთან მეგობრული საუბარი შედგა და რუსლან სტეფანჩუკმა უკრაინაში იგი კიდევ ერთხელ მიიწვია. დელეგაცია უკრაინაში გუშინ გაემგზავრა. მის შემადგენლობაშია ყველა პარტია ენმ-ის გარდა, რომელმაც უარი თავად განაცხადა.

* * *

მივმართეთ იუნესკოს, რათა კავკასიური ენების დაცვის დღე გამოაცხადოს, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ორბელიანების სასახლეში დედაენის დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე განაცხადა. „ქართული და აფხაზური ენის დაცვასთან ერთად, რომელიც კონსტიტუციითაა განსაზღრული, გვევალება მეგრულის, სვანურის, ჭანურისა და ლაზურის დაცვა და მათი გადარჩენისთვის ზრუნვა, რამეთუ ეს ენები ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია და უნიკალურ სიმდიდრეს წარმოადგენენ. ამას შეგძლებთ, თუკი სკოლაში, პირველ რიგში, მეგრულისა და სვანურის არჩევითი სწავლების უფლებას დავაწესებთ“, - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

ჩვენ დღეს მივემგზავრებით უკრაინაში. ჩემი აზრით, ეს იქნება შემობრუნების წერტილი იმ ძალიან დაბალ ნიშნულზე მდგომი ქართულ-უკრაინული ურთიერთობებისა, რომელიც დღეს არსებობს. იცით, რომ ელჩიც გაწვეულია საქართველოდან, გაფუჭებულ ვითარებას სჭირდება შველა. ეს ვიზიტი იქნება შესაძლებლობა, ურთიერთობები ჩადგეს იმ კალაპოტში, რასაც ქართული და უკრაინული ხალხი იმსახურებს, - განაცხადა გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა უკრაინაში გამგზავრებაზე უარის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებაზე საუბრისას.

მოამზადა
ია შველიძემ

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

შეხვედრები - ცინარეთსა და გოგინაურში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში ამ დღეებში მოსულმა თოვლმა, ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ ყვავილობაში შესული საადრეო ხილი (ტყემალი, მსხალი) დააზიანა. ნაყოფი დაკარგა კაკალმა და ხურმამ, წაყინა საგვიანო ხეხილი. ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ ფუტკარიც გაწყვიტა. ამ დროს ნაყრიანობა იწყებოდა, ამჯერად მეფუტკრეები მხოლოდ ფუტკრის ოჯახების გადარჩენაზე ზრუნავენ

ბუნების ჭირვეულობას შეჩვეული აჭარის მთიანეთის მკვიდრები იხტიბარს მაინც არ იტეხენ, საგაზაფხულო ხვნა-თესვისა და სხვა სამუშაოების თადარიგს იჭერენ, კრიტიკულ სიტუაციაში ქვეყნის, რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებისგან თანადგომას ელიან. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ა(ა) იპ «აგროსერვისცენტრი» მათ ცალკეულ პროგრამებს, უფასო სამუშაოებს სთავაზობს. წელსაც გაგრძელდება მიწების უფასო დახვნის სამუშაოები. ფერმერთა ის ნაწილი, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ დარეგისტრირებული მიწა, ისარგებლებენ თვითდაფინანსების პროგრამებით.

მიმდინარე სამუშაოებზე, ფერმერების ხელშეწყობის პროგრამების სიკეთეზე, საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებაზე ცინარეთსა და გოგინაურში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე მირიან ქათამაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ.

ფერმერებმა იმ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება, რომლებიც დროულ რეაგირებას საჭიროებს. წინა წლებთან შედარებით, გასამმაგებულია პესტიციდებისა და მინერალური სასუქების ფასები. შარშან შუახეველი ფერმერების მნიშვნელოვანი ნაწილი თამბაქოს კულტურის მოვლა-მოყვანით დაკავდა. უმრავლესობამ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ვეღარ შეძლო. მათ პროდუქციის საერთო წესით გატანა მოითხოვეს.

სოფლებს ახალგაზრდობა ტოვებს. მათი ადგილებზე დამაგრებისა და დასაქმების გზების მოძიებაზე იყო საუბარი. მეცხოველე და მიწათმოქმედმა ფერმერებმა ხელისუფლებას თანადაფინანსებით ტექნიკის, სხვა საშუალებების შეძენაც სთხოვეს. ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდამ სოფლად მცხოვრები მოსახლეობაც დააზარალა. შორეულ, მცირეკომლიან დასახლებებში მცხოვრებთ, შუახევის ცენტრამდე მისასვლელად, ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდა უჭირთ. მათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვეს, კვირაში ორ დღეს უფასოდ მოემსახუროს ტრანსპორტი მგზავრებს.

შეხვედრებზე სხვა საკითხებზეც იმსჯელეს. რამდენიმე პრობლემა ფერმერებს სამუშაო ვითარებაში მოუგვარეს.

- ცინარეთსა და გოგინაურში მოსახლეობის წარმომადგენლებთან საინტერესო შეხვედრები გვქონდა. მივაწოდეთ ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს. ესენია: საოჯახო მეურნეობების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების მხარდაჭერა, სოფლად მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა. კიდევ ერთხელ ვთხოვეთ მოსახლეობას, აქტიურად ჩაერთონ პროგრამებში. მათი მხრიდანაც მოვისმინეთ პრობლემები, იგი ძირითადად, სარწყავი არხების მოწესრიგებას ეხებოდა. სამინისტროს მელიორაციის განყოფილება წელს შუახევის მუნიციპალიტეტში ხუთი სარწყავი არხის რეაბილიტაციას გეგმავს, რომელიც 270-ზე მეტ ოჯახს მოემსახურება. ვფიქრობ, წელს დაგეგმილი ყველა პროგრამა და პროექტი ვადების დაცვით და ხარისხიანად შესრულდება. ჩვენი მიზანია მოსახლეობამ ისარგებლოს იმ სერვისით, რასაც სახელმწიფო სთავაზობს, - გვითხრა მირიან ქათამაძემ.

იმსჯელეს 2022 წლის პრიორიტეტებისა და სტრატეგიის შესახებ

სოფელ ქედქედში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ოთარ დიასამიძესთან ერთად მოსახლეობას შეხვდა

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე, მერის მოადგილე და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იმსჯელეს 2022 წლის პრიორიტეტების და სტრატეგიის შესახებ, განიხილეს გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მიმდინარე მასშტაბური პროექტები.

ქედქედში გამართულ შეხვედრაზე აჭარაში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების შესახებაც ისაუბრეს.

მოსახლეობის საჭიროებების გაცნობის მიზნით, შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლავ გაგრძელდება.

მარი მიდასელი

აჭარაში ხალხური ტრადიციებისა და რიტუალების გზამკვლევი მზადდება

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების სააგენტო აჭარის ხალხური ტრადიციებისა და რიტუალების გზამკვლევს ამზადებს

გზამკვლევის მიზანია ეთნოსის უნიკალურობის ამსახველი ტრადიციების პოპულარიზაცია.

მის შესაქმნელად დეპარტამენტის სპეციალისტები ჩაატარებენ კვლევებს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპის, საზოგადოებრივ-ოჯახური ჩვეულებებისა და სამეურნეო ყოფის შესახებ.

„აჭარა განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველია თავისი ავთენტურობით, იმ არამატერიალური კულტურული ღირებულებებით და წეს-ჩვეულებებით, რაც განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაშია შემორჩენილი“, - აღნიშნულია დეპარტამენტის პრესრელიზში.

სააგენტოში აღნიშნავენ, რომ აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი არაერთი ტრადიცია და რიტუალი, რომლებიც ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობას, სულიერ კულტურას, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფას, ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება.

გზამკვლევის მიზანი აჭარული ტრადიციების ასახვა და პოპულარიზაციაა, რადგან სწორედ მათში ვლინდება ეთნოსის უნივერსალურობა. მართალია, ხალხურმა ტრადიციებმა და რიტუალებმა ტრანსფორმაცია განიცადეს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დღესაც აქტუალურია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ საზოგადოებაში.

გზამკვლევი წლის ბოლოსთვის იქნება მზად. მასში შევა ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ხალხური რიტუალები, რომლებიც დააინტერესებს როგორც ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს, ასევე ჩვენი რეგიონის ვიზიტიორებს.

ამბები

„ქვეყანას არ აგარევინებთ“

დიდი რეზონანსი მოჰყვა ბაკურიანში ოპოზიციის ლიდერებისა და სამოქალაქო სექტორის წევრების პიტერ აკერმანთან შეხვედრას. ფაქტს როგორც მმართველი გუნდიდან, ისე ოპოზიციური პარტიებიდანაც და უბრალოდ, საზოგადოების წარმომადგენლებისგანაც მოჰყვა გამოხმაურება. მათ შორისაა საზოგადოებრივი მოძრაობა „აი იას“ დამფუძნებელი გია გაჩეჩილაძე (უცნობი), რომელმაც ახალი საზოგადოებრივი კამპანიის - „არ აგარევინებთ!“ დაწყება დააანონსა.

გაჩეჩილაძის განმარტებით, „ეს იქნება ინიციატივა მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ომისა და ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ“, რადგან მშვიდობისთვის ბრძოლა დღეს ქვეყნის განვითარების უპირველესი პირობაა.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და „ჩვენი ქვეყნის ომის პოლიგონად გადაქცევა“ ვერ მოხერხდა, აშკარაა, რომ იწყება რევოლუციური სცენარების ამუშავება, რაზეც ბაკურიანში ოპოზიციის შეკრებაც მეტყველებს.

„საქართველოში ჩამოსული იყო ამერიკელი პიტერ აკერმანი, რომელიც დაოსტატებულია სახელმწიფო გადატრიალებების ორგანიზებაში. ბაკურიანში შედგა შეხვედრა და ამ პიროვნებამ ტრენინგები ჩაატარა როგორც ქართულ ოპოზიციასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ეს არის შეთქმულება სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ - განიხილებოდა როგორ შეიძლება გადააგდო ხელისუფლება. ტყუილად ნუ ექნებათ იმედი, რომ ამ ქვეყანაში გადატრიალების მსგავსს მოაწყობენ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა გიორგი მშვენიერაძემ თავად თქვა, რომ განიხილავდნენ, როგორ შეიძლებოდა არაძალადობრივი გზით ხელისუფლების მოცილება. ხელისუფლების ჩამოშორების ერთადერთი მექანიზმი არის არჩევნები, რომელიც ჩატარდება 2024 წელს და ამას განიხილავენ იმ კაცთან ერთად, რომელიც გადატრიალებებში არის განთქმული? რასაც იქ ლაპარაკობდნენ და აკეთებდნენ, ჩემთვის არის მტკიცებულება. გვინდა ყველას გასაგონად ვთქვათ, რომ ქვეყანას არ აგარევინებთ! ქართული საზოგადოება არ დაუშვებს ქვეყნის მშვიდობის და სტაბილურობის გზიდან გადახვევას. ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფა, ცხადია, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ასევე, ხელისუფლების მოვალეობაა ადეკვატური სამართლებრივი პასუხი გასცეს ყველას, ვინც ყველანაირი, დაწერილი თუ დაუწერელი, კანონის დარღვევით ცდილობს ქვეყნის არევას. მოვუწოდებთ საზოგადოებას სიფხიზლისა და გაერთიანებისთვის ქვეყნის არევის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სტაბილურობის დასაცავად, რათა ქვეყნის შიდა თუ გარე დესტრუქციულ ძალებს არ მივცეთ საქართველოს ომის პოლიგონად გადაქცევისა და რევოლუციური სცენარებით ქვეყნის არევის საშუალება“, - აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ, რომელმაც ასევე დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი მოძრაობა აქციებსაც გამართავს.

მარი მიდასელი

მმართველი გუნდის წარმომადგენლების აზრით, რატომ არ მივიდნენ საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციონერები?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

შუალედური არჩევნებიც ჩატარდა და შედეგებიც ცნობილია, მიუხედავად ამისა, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფუნქციონირებას ვერ იწყებს, რაშიც ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს. საკრებულოს ოპოზიციური ფრთა რევანშს იღებს და უმრავლესობაში მათი ყოფნის დროს მმართველი გუნდის წარმომადგენელთა ბოიკოტს იხსენებს, ხოლო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებით, რადიკალური ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებები რომ არა, ბათუმში უამრავი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდებოდა

რამდენად შეძლებს საკრებულო მოსახლეობის ნების გატარებას და მუშაობის დაწყებას, ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ საკრებულოს წევრები, პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, არ მოისურვებენ რიგგარეშე არჩევნებს და წინასაარჩევნო კამპანიის ხელახლა ჩატარებას, რადგან არავინ იცის, ამ შემთხვევაში ვის მიანიჭებს ელექტორატი პრიორიტეტს. ისიც ფაქტია, რომ ე.წ. ოქროს შუალედში აღმოჩენილ გახარიას გუნდის წარმომადგენლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი იღბლიანი სტრატეგიული პოზიცია და მოთმინებით ელიან უმრავლესობისგან საუკეთესო შემოთავაზებებს. როგორც თავად აცხადებენ, რეგიონ წევრობას არ დათანხმდებიან, რადგან საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში პარტიის „საქართველოსთვის“ წარმომადგენლები საკრებულოების თავმჯდომარეები გახდნენ.

ამ საკითხზე გთავაზობთ ინტერვიუებს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ***თენგიზ აშხაზავასა*** *და საკრებულოს წევრ* ***ნინო ცხვარაძესთან****.*

- ბატონო თენგიზ, როგორ ახსნით ოპოზიციის ბოიკოტს?

- აგრძელებენ ქვეყნის და ამ ქალაქის მიმართ მავნებლური პოლიტიკის გატარებას. ხომ იძახდნენ, მოვიდეს „ქართული ოცნება“ და ჩავატარებთ სხდომასო, ჩვენ მივედით, ისინი -არა.

- როდესაც პოზიცია-ოპოზიციის წევრთა რაოდენობა თანაბარი იყო, მაშინ თქვენ აცხადებდით ბოიკოტს.

- ჩვენს მისვლას აზრი არ ჰქონდა, ორივე მხარე თანაბრად იყო წარმოდგენილი 17X17-ზე, თავმჯდომარის კანდიდატურაზე მაინც ვერ შევთანხმდებოდით, თანაც სხდომას პოლიტიკური განცხადებებისა და შოუების დასადგმელად გამოიყენებდნენ. აქედან გამომდინარე, 2 აპრილის შუალედური არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომელიც ჩატარდა გარდაცვლილი წევრის ჩასანაცვლებლად. სწორედ აქ გამოვლინდა ხალხის პოზიტიური განწყობა მმართველი პარტის მიმართ, რაც ისედაც იცოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებმა. შესაბამისად, ცდილობდნენ მანამდე დაკომპლექტებულიყო საკრებულო, რაზეც არ დავთანხმდით. აქედან გამომდინარე, სხვა აღარაფერი დარჩენიათ, ისევ აგრძელებენ მავნებლურ ქმედებებს ქალაქის და მოსახლეობის წინააღმდეგ.

- რატომ ფიქრობთ, რომ იცოდნენ თქვენი გამარჯვების შესახებ?

- იმიტომ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას შეისწავლეს, ვინ რას ფიქრობდა, ისიც იცოდნენ, რომ „ქართული ოცნების“ მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც ახლა კიდევ უფრო კარგად შეფასდა, მათ კანდიდატს არ მისცემდა არანაირ შანსს.

- როდემდე გააგრძელებენ ბოიკოტს?

- დიდი ალბათობით, შემდეგ სხდომამდე. შემოვლენ, რადგან სხვა გზა არ დარჩათ.

- საიდან - ასეთი იმედი?

- დიდი განხეთქილება აქვთ შიდაპარტიულ წრეებში. არც მალავენ დაპირისპირებას, ისიც თქვეს, რომ ნაწილს უნდა შემოსვლა, მაგრამ მეორე ნაწილი აჩერებს. ჯერ კიდევ შეთანხმების და გადაფასების პროცესში არიან. იმედს ვიტოვებთ, საღი აზრი გადაწონის, შეთანხმდებიან, რომ საკრებულოს სხდომა უნდა ჩატარდეს და ბათუმმა გააგრძელოს ფუნქციონირება.

- უმრავლესობით „ქართული ოცნება“ ხართ წარმოდგენილი, თუმცა გადამწყვეტი იქნება დამოუკიდებელ წევრ ირაკლი თავდგირიძის აზრი.

- ირაკლიმ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე რამაზ ჯინჭარაძის კანდიდატურას.

- თქვენ ვის არჩევას ფიქრობდით?

- ჯერ არ გაგვიყღერებია, ვის კანდიდატურას წარვადგენთ, რადგან საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრთის თითოეული წარმომადგენელი უდავოდ იმსახურებს ამ პოსტს, შესაბამისად, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. როდესაც შედგება სხდომა და კვორუმი, იქ გავაყღერებთ, ვისზე შევაჩერეთ არჩევანი. ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, რომ ბატონი ირაკლი დაუჭერს მხარს.

- ანუ, სახელს არ ასახელებთ, თუმცა პირდაპირი ტექსტით აცხადებთ, რომ რამაზ ჯინჭარაძეს აირჩევთ?

- უკომენტაროდ.

- რაც შეეხება არჩევნების გაყალბების ბრალდებას?

- თქვენც ხომ კარგად იცით, ყველა არჩევნების შემდეგ, ოპოზიცია გაფუჭებული პატეფონივით იმეორებს ერთსა და იმავეს. ჩვენ რომ არჩევნების გაყალბება გვდომებოდა და საზოგადოების აზრს პატივს არ ვცემდეთ, სხვა მუნიციპალიტეტებში გავაყალბებდით. აქ თუ მთელი 70%-ის გაყალბება შევძელით, სხვაგან 10-15%-ს მაინც მოვუხერხებდით რამეს და ახლა ამ რთულ ვითარებაში არ აღმოვჩნდებოდით. ეს თავადაც კარგად იციან და ამ ბრალდებებით თავს იმართლებენ, მეტი არაფერი. ხალხს ამოუვიდა ყელში ამათი არაადეკვატური ქმედებები, ისიც კარგად დაინახეს, რომ ენმ ომის პარტიაა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესები ამოძრავებს. მეხუთე კოლონაა, რომელსაც სურს, ქვეყანა ჩაითრიოს უთანასწორო, საქართველოსთვის დამღუპველ ომში. ხელისუფლება ატარებს აბსოლუტურად გონივრულ პოლიტიკას, რომელიც საფრთხეს ააცილებს ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას, რაც „ამათ“ არანაირად არ აძლევთ ხელს. ჩვენი ხელისუფლების და პარტიის მაღალი ეშელონებიდან, ამ საკითხზე არაერთი კომენტარი ვრცელდება, ამიტომ არ ვაპირებ საკითხის განვრცობას. უბრალოდ, ვიტყვი, ხომ უნდოდა ოპოზიციას რიგი პროექტების განხორციელება ბათუმში? მოვიდნენ და დავიწყოთ მუშაობა, როდემდე უნდა გაგრძელდეს „უძრაობა“. მზად ვართ, ყველა ეს საკითხი განვიხილოთ სხდომაზე, მაგრამ მანამდე უნდა შედგეს ბიურო, ამისთვის კი უნდა ავირჩიოთ თავმჯდომარე და კომისიების ხელმძღვანელები.

- ახლა ოპოზიციამ რომ განაცხადოს, აზრი არ აქვს ჩვენს მოსვლასო?

- მოსვლამ აზრი ახლა უკვე მათთვისაც მიიღო. ჩვენ ვეუბნებოდით: მოიგეთ შუალედური არჩევნები და დააკომპლექტეთ საკრებულო. რომ მოეგოთ, ენმ-ს შეეკვრებოდა გახარიას გუნდი და იქნებოდნენ უმრავლესობაში. სასტიკად დამარცხდნენ. ვთავაზობთ მოლაპარაკებებს, არცერთი არ მოდის, გვაიგნორირებენ ქალაქის მოსახლეობის საზიანოდ. რთულია, ასეთ სიტუაციაში რამე პოზიტიურსა და კონსტრუქციულზე ისაუბრო მათთან დაკავშირებით.

- მაშინ - მით უმეტეს არ უნდა გქონდეთ იმედი...

- აქვე იმასაც ვიტყვი, რომ შიდა კულუარული ინფორმაციით, დიდი დაპირისპირება და განხეთქილებაა „ნაციონალურ მოძრაობაში“, არა მხოლოდ აქ, ცენტრალურ დონეზე და, ცხადია, ეს ყველაფერი აისახება საკრებულოს ოპოზიციური ფრთის წევრებზეც. მე მაინც მჯერა, რომ შედგება კვორუმი და საკრებულო აღადგენს ნორმალურ ფუნქციონირებას. დიდი ალბათობით, არ მივალთ საკრებულოს ვადამდელ არჩევნებამდე.

- ქალბატონო ნინო, თქვენი აზრით, როგორ ჩატარდა 2 აპრილის შუალედური არჩევნები?

- არჩევნები იყო გამჭვირვალე და სამართლიანი. უმნიშვნელო საჩივრები დაიწერა, რომლებსაც გავლენა არ მოუხდენია შედეგზე. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მე-4 მაჟორიტარულ ოლქში მოსახლეობის 70-პროცენტიანი მხარდაჭერა მოიპოვა, შესაბამისად, ოპოზიცია როცა ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა, აბსურდია. სამწუხაროდ, ჩვენს ოპონენტებს არ სურთ დამარცხების აღიარება და არც ამომრჩევლის ნებას სცემენ პატივს. დიახ, მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და ადრე თუ გვიან, ოპოზიციას ამასთან შეგუება მოუწევს.

- რატომ არ დაესწრნენ საკრებულოს სხდომას ოპოზიციური პარტიები, რა მოიმიზეზეს და რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეს?

- „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, - ერთი მხრივ, ოპოზიცია ირწმუნება, რომ ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვაა მისი მთავარი ამოცანა და, მეორე მხრივ, არ მოდის საკრებულოს სხდომაზე. როცა ამბობენ, ბათუმელების დაკვეთა იყო, ქალაქის საკრებულო ოპოზიციური ყოფილიყოო, აქაც ტყუიან და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ.

- რას გულისხმობთ?

- ოპოზიციამ ქალაქის საკრებულოში სულ 17 წევრი შეიყვანა, ანუ ძალიან დაბალი პროცენტით გამოუცხადა მოსახლეობამ ნდობა - პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ერთი წევრითაა წარმოდგენილი, პარტია „საქართველოსთვის“ - ორი წევრით და თოთხმეტი წევრით - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მხოლოდ ერთი პარტია - „ქართული ოცნება“ კი საკრებულოში 17 დეპუტატითაა წარმოდგენილი. ამდენად, სწორედ მმართველ გუნდს გამოუცხადა ბათუმელების უმრავლესობამ ნდობა. ამ ფონზე ოპოზიცია შოუების მოწყობით და სიცრუის ტირაჟირებითაა დაკავებული და ნაკლებად აწუხებს მოსახლეობის ბედი.

- არც ისაა გამორიცხული, არ დაესწრონ სხდომებს - საკმაოდ დიდი პრეტენზიები აქვთ მმართველ გუნდთან.

- ბოლო წლების განმავლობაში ოპოზიცია მხოლოდ პოლიტიკური ვაჭრობითაა დაკავებული. გახსოვთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში შესვლას არ აპირებდნენ, უფრო მეტიც, საარჩევნო სიებიც კი გაანულეს. დღეს ოპოზიცია საქართველოს პარლამენტშიც არის და აჭარის უმაღლეს საბჭოშიც. ამდენად, არ გამოვრიცხავ, ბათუმის საკრებულოში შესვლის გადაწყვეტილებაც მიიღონ. სამწუხაროდ, დესტრუქციული ძალა ბოლომდე შეეცდება ქალაქის დაზარალებას, თუმცა იმედს ვიტოვებ, ოპოზიციაშიც არიან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები,

იხ. მე-7 გვ.

> *„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, - ერთი მხრივ, ოპოზიცია ირწმუნება, რომ ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვაა მისი მთავარი ამოცანა და, მეორე მხრივ, არ მოდის საკრებულოს სხდომაზე*

> *ჩვენს მისვლას აზრი არ ჰქონდა, ორივე მხარე თანაბრად იყო წარმოდგენილი 17X17-ზე, თავმჯდომარის კანდიდატურაზე მაინც ვერ შევთანხმდებოდით*

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ მზადაა, პირადად ჩავიდეს უკრაინაში. ინფორმაციას „უნიანი“ ავრცელებს. მანამდე თეთრ სახლში აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიპატიჟებაზე რეაქციის და ქვეყნის მხარდაჭერის ნიშნად უკრაინაში სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ან პენტაგონის ხელმძღვანელი ლოიდ ოსტინი გაემგზავრებოდა. ბაიდენმა აღნიშნული დაადასტურა კიდეც, თუმცა ხუთშაბათს ჟურნალისტის კითხვაზე, მზად არის თუ არა თავად ამ ვიზიტისთვის, დადებითი პასუხი გასცა. უკრაინაში უკვე იმყოფებოდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და პოლონეთის, ესტონეთის, ლატვიის და ლიეტუვის პრეზიდენტები.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა უნგრეთი და გერმანია რუსეთის ფედერაციის ენერგორესურსებზე ემბარგოს დაწესების ძალისხმევის დაბლოკვაში დაადანაშაულა. აღსანიშნავია, რომ ემბარგოზე უარის შემთხვევაში, ენერგომატარებლების გაყიდვიდან რუსეთი წელს 250 მილიარდ ფუნტ სტერლინგს (326 მილიარდ დოლარს) მიიღებს. უნგრეთმა განაცხადა, რომ რუსული გაზის რუბლებში შესყიდვით ევროკავშირის მიერ ამ ქვეყნისთვის დაწესებული სანქციები არ დაირღვევა და ეს შიდა ტექნიკური საკითხია.

* * *

შვედეთისა და ფინეთის ნატოს პოტენციურმა წევრობამ საეჭვოა, ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების საერთაშორისო პრესტიჟს, ალიანსის წევრობის გადაწყვეტილება ნეგატიურ შედეგებს მოუტანს ჩრდილოეთ ევროპის სტაბილურობასა და მშვიდობას, - აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა. „ნატოს მიზანია, გააგრძელოს სამხედრო პოტენციალის გაფართოება და გეოგრაფიული ექსპანსია, მაგრამ ჩვენს მეზობლებს ბალტიის რეგიონში - შვედებსა და ფინელებს რატომ სურთ ნატო-რუსეთის წინააღმდეგობის ახალი საზღვრის შექმნა, გაუგებარია, - აღნიშნა მან და დასძინა, - ბუნებრივია, არჩევანი შვედეთისა და ფინეთის ხელისუფლებებზეა, მაგრამ მათ უნდა ესმოდეთ ასეთი ნაბიჯის შედეგები ჩვენს ორმხივ ურთიერთობებსა და მთლიანად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე, რაც ამჟამად კრიზისულ მდგომარეობაშია“.

* * *

თურქეთი შავ ზღვაში ბლოკირებული გემების თაობაზე რუსეთთან და უკრაინასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. საუბარია 22 თურქულ გემზე, რომლებიც უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო ვერ ახერხებს ტვირთის რუსეთის პორტებში შეტანას და ბლოკირებულია უკრაინის სანაპიროზე. გემები ბლოკირებულია აზოვის ზღვაშიც. გარდა ამისა, საუბარია გაურკვეველი წარმომავლობის ნაღმებზე, რომლებსაც შავ ზღვაში პოულობენ. თურქეთის თავდაცვის მინისტრი ხულუსი აკარი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი მხარე თურქეთის სანაპიროსთან ნაღმების „შემოგდებით“ ცდილობს ანკარაზე ზემოქმედებას, რათა იგი დათანხმდეს შავ ზღვაში ნატოს ხომალდების განთავსებას.

მოამზადა
ია შველიძემ

„ქართული ოცნების“ „ბოსები“ ვერ გაგვიჩენენ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობის კომპლექსს“

ხატია იაშვილი 591 98 24 26

„არ ვაპირებთ, „ქართული ოცნებისთვის“ ან „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ვიყოთ ე.წ. მაშველი რგოლი. ჩვენი მიზანია დამბალანსებლის როლი შევასრულოთ,“ - ამბობს ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, პარტიის - „საქართველოსთვის“ წევრი ***აკაკი გვიანიძე***

თუ როგორ აფასებს საკრებულოში შექმნილ რთულ ვითარებას, რას აპირებს თავად და რა პერსპექტივებს ხედავს გახარიას პარტიაში, ამას ჩვენი ინტერვიუდან გაიგებთ.

- ბატონო აკაკი, 12 აპრილს ჩანიშნულ ბათუმის საკრებულოს სხდომას რა მიზეზით გამოუცხადეთ პროტესტი ოპოზიციურმა ფლანგმა?

- სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების სახელით ვერ ვისაუბრებ, რადგან პირველებმა გავაჟღერეთ, რომ არ ვაპირებდით დასწრებას, რადგან არ გამართულა წინასწარი კონსულტაციები, ამავდროულად, თავად სხდომა პროცედურების დარღვევის გამო, ვადებში არ იყო სწორად გაწერილი. აქვე ვიტყვი სხვა მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროცესებზეც, რამაც იქონია პირადად ჩვენს პარტიაზე ზეგავლენა. მართალია, როგორც ბათუმის საკრებულოს წევრს, საკუთარი ქალაქის მიმართ მაქვს პასუხისმგებლობა აღებული, მაგრამ ჩემი პარტია, საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებს და შესაბამისად, სხვა რეგიონებზეც უნდა ვიფიქროთ. წალენჯიხაში უაღრესად ცუდი ფაქტი დაფიქსირდა, გელა აბულაძე, კაცი, რომელიც მთელ მუნიციპალიტეტს ძალიან უყვარს და რომელმაც ორჯერ მეტი ხმით მოუგო ოპონენტს, დაიკავეს და აბსურდულ საქმეზე მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, 80 წლის დედასთან ერთად.

- თუკი დააშავა, საქმე არ უნდა აღეძრათ?

- იმდენად შეთითხნილი ბრალდებაა, რომ გარე თვალითაც კარგად ჩანს, თეთრი ძაფით რომაა ეს საქმე შეკერილი. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც სინამდვილეში დააკავეს, იყო წალენჯიხის საკრებულოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ბათუმის საკრებულოშიც სხვადასხვა მაქინაციას მიმართეს. შუალედურ არჩევნებამდე ჩვენ არაერთხელ მოვიწვიეთ სხდომა, რომელზეც არ ცხადდებოდნენ მმართველი პარტიის წევრები და ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ მთელი ოთხი თვის განმავლობაში. ამ საკითხების ერთობლიობამ არ მომცა იმის მორალური უფლება, საკრებულოს სხდომას წინაპირობების გარეშე დავსწრებოდი. არ ვიცი, აპირებს „ქართული ოცნება“ რეალურ თანამშრომლობას, თუ ისევ საკუთარ, ვიწრო პარტიული ინტერესების გატარებას დაიწყებს.

- პარტია „საქართველოსთვის“ სამი წევრით იყო საკრებულოში წარმოდგენილი, ერთ-ერთი, დამოუკიდებელი წევრი გახდა. როგორ ფიქრობთ, ის ახლა ვის მხარეს დაიკავებს?

- არავითარი „დამოუკიდებელი წევრი“ არ არსებობს, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. ეს სუბიექტი ტელეეთერით ადასტურებს, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენელია და მხარს უჭერს „ქართული ოცნების“ კანდიდატ რამაზ ჯინჭარაძეს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე. შესაბამისად, არც საკუთარი თავი უნდა მოვიტყუოთ და არც მოსახლეობა შევიყვანოთ შეცდომაში.

- როდემდე უნდა გაგრძელდეს ქალაქის ბოიკოტირება?

- ჩვენ არ ვიმყოფებით ბოიკოტის რეჟიმში, „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა საშუალება, ჩაეტარებინა სხდომა ისე, როგორც ეს გავაკეთეთ სენაკში. რეალურად კრიზისი დაიწყო მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა ბოიკოტის რეჟიმში გადასვლა. თეორიულად, ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს 3 ივნისამდე. სწორედ ამ დღეს გადის 6-თვიანი ვადა, რაც საკრებულო არ შეკრებილა. ამის შემდეგ, კანონით ეს საკრებულო უნდა დაიშალოს, შემოდის პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა და ქალაქის მერი და ქვეყნის ცენტრალური მთავრობა მიიღებენ იმ გადაწყვეტილებებს, რაც აუცილებელი იქნება ქალაქის ფუნქციონირებისთვის. შემდეგ კი, ოქტომბერში, დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები.

- რამდენად გაძლევთ თქვენ ხელს მსგავსი სცენარი?

- ჩვენ არ ვართ რიგგარეშე არჩევნებით დაინტერესებული, პირიქით, ვცდილობთ მეორე მხარესთან კომუნიკაციას, მაგრამ როდესაც არ გვთანხმდებიან არც კონსულტაციებზე, არც წინასწარი შეთანხმებების გაფორმებაზე და მხოლოდ საკუთარი, ვიწროპარტიული ინტერესებით მოქმედებენ, მათი ეს პოზიცია აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენ ვასრულებთ ბათუმელთა შეკვეთას, რომელმაც ოპოზიციას მიანიჭა პრიორიტეტი. ამიტომ ვერაფრით დავუშვებთ, „ქართულმა ოცნებამ“ ისევ მოახდინოს ხელისუფლების უზურპირება.

- ისიც ფაქტია, რომ ამ ეტაპზე „ოცნებამ“ მოიპოვა უმრავლესობა, შუალედურ არჩევნებში დიდი განსხვავებით რომ მოუგო ენმ-ის კანდიდატს.

- რა ხერხებითაც მოიპოვეს ეს უმრავლესობა, ვიცით, მაგრამ ახლა ის უნდა ვიცოდეთ, რომ ბოროტად არ გამოიყენებენ ამ ძალაუფლებას. ამისთვის გვჭირდება ის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ბათუმის საკრებულოში შევძლებთ პროცესების დემოკრატიულად მართვას. ყველაფერ ამას განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა, ვეროკავშირის კითხვარს თუ გავიხსენებთ. მის შევსებას ვაპირებთ და პარალელურად, ასეთი არადემოკრატიული პროცესების მონაწილე ვხდებით. უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ ყველაფერი ეს? ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებით ნოტარიუსის როლს და ვერ მივცემთ ლეგიტიმაციას პროცესს, რომელიც ჩანასახშივე არა მხოლოდ უსამართლო, არამედ - უკანონოა, რადგან უკანონოდ მიიღეს ის მანდატი, რომელიც უმრავლესობისთვის დასჭირდათ.

- რაღაც ეტაპზე, პარტია „საქართველოსთვის“ პასიური გახდა, „გაჩერდა“. ბევრმა ისიც თქვა, დაიშლებაო...

- არც გავჩერებულვართ და არც გავჩუმებულვართ. მესმის, რომ ჩვენი ლიდერია პარტიის განმსაზღვრელი სახე და გიორგი გახარიას საინფორმაციო ველიდან გაუჩინარება აღიქმებოდა პარტიის საქმიანობის შეჩერებად, მაგრამ არ შევჩერებულვართ, პირიქით, ჩვენი ლიდერები ყველადღიურ რეჟიმში ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ მოქალაქეებს როგორც პირადად, ისე მედიის საშუალებით. რაც შეეხება ბატონ გიორგის, იგი დაკავებული იყო შიდაპარტიული საქმიანობით და მისი გაძლიერებით, ახლა ისევ გამოჩნდა ტელეეკრანებზე და აქტიურად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.

- საკრებულოს დავუბრუნდეთ, რას აპირებთ უახლოეს მომავალში?

- ერთი რამ ცხადია, პასუხისმგებელი ვართ მუნიციპალიტეტის, ზოგადად, ქვეყნის წინაშე და ჩვენ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის ინტერესებს. არ გვაქვს ამ გზიდან გადახვევის და იმ დაპირებების დავიწყების უფლება, რაც ხალხს წინასაარჩევნოდ მივეცით. ჩვენი მთავარი მესიჯი კი იყო: შევაჩეროთ „ქართული ოცნებაც“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“, ანუ წინა და ამჟამინდელი ხელისუფლებები, რომლებიც ავტორიტარიზმისკენ არიან მიდრეკილი და ყველაფერზე წავლენ სრული ძალაუფლების მოსაპოვებლად.

- ისინი ხომ დაპირისპირებულები არიან?

- თქვენ წარმოიდგინეთ, საერთო საქმეს აკეთებენ და ერთმანეთს აძლიერებენ, რაც დადასტურდა საკაშვილის საქართველოში ჩამოსვლით. მიშამ პოლარიზაცია კიდევ უფრო გაამძაფრა, რაც გავშიფრეთ, როგორც ამომრჩევლის წინააღმდეგ მიმართული სპეცოპერაცია. შეუძლებელია, რომელიმე პარტია მოგვწონდეს, რადგან გაჭირილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. დაკავებული არიან მხოლოდ ძალაუფლების მოპოვება-შენარჩუნებით და რევანშით. აქედან გამომდინარე, ვერცერთ მათგანს ვერ შევუქმნით სისტემურ კოალიციას, მხოლოდ კონკრეტული საკითხების გარშემო თანამშრომლობაზე ვართ თანახმა, რომელსაც გადავწყვეტთ მოსახლეობის ნებასურვილის გათვალისწინებით. ანუ ჩვენ ამ ორი მახინჯი პარტიული წარმონაქმნის სასტიკი მოწინააღმდეგეები ვართ და არ დავუშვებთ არც ერთ მათგანთან მჭიდრო კავშირს.

- პრინციპში, ახლა ენმ-ის მომხრე გამოდიხართ.

- ყველა იმ ოთხ მუნიციპალიტეტში, სადაც ჩვენი პარტიის წარმომადგენლები აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარეებად, წინასწარი შეთანხმება არ ყოფილა, უბრალოდ „ნაციონალებს“ არ აწყობდათ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და ამიტომ დაუჭირეს მხარი ჩვენს კანდიდატს. ჩვენ მზად ვიყავით, რომ „ქართული ოცნების“ წევრები აგვერჩია სხვადასხვა თანამდებობაზე, თუმცა ისინი არ გამოცხადდნენ და შესაბამისად, დარჩენილი წევრებით დაკომპლექტდა საკრებულო.

- ამით იმის თქმა გინდათ, რომ „ოქროს შუალედი“ გაქვთ და შეგიძლიათ პირობები უკარნახოთ ორივე მხარეს?

- დიახ, ამ შემთხვევაში არა - რაოდენობა, არამედ პრინციპია გადამწყვეტი. სტრატეგიულ რეჟიმში ყოფნამ მოგვცა პრიორიტეტი. ენმ იძულებული გახდა, ჩვენთვის დაეჭირა მხარი. შესაბამისად, ვატარებთ კიდეც ჩვენს ხაზს. მაგალითად, ისრაელში, 120 დეპუტატისგან შემდგარ პარლამენტში, პრემიერი გახდა იმ პარტიის წევრი, რომელიც მთან საკანონმდებლო ორგანოში 7 წევრით იყო წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც, მთავარი იყო, რა ხაზს და როგორი პრინციპებით ატარებს ესა თუ ის პარტია.

- თქვენ თვლით, რომ თქვენი პარტიის წევრი უნდა გავიდეს თავმჯდომარის პოსტზე?

- თუ ამ ანალოგით ისარგებლებენ და გაგვიკეთებენ მსგავს შემოთავაზებას, მადლობელი დავრჩებით, თუმცა აქვე იმასაც დავამატებ, რომ არც ერთხელ არ გადაგვიხვევია იმ პრინციპებისა და გაცხადებული დღის წესრიგისთვის, რომელსაც მივყვებით არჩევნების დღიდან. ეს ყველაფერი გვაძლევს იმის საშუალებას, საკუთარი ურყევი ნება გავატაროთ. რაც შეეხება თავმჯდომარეობას, ბათუმში ეს შეუძლებელია, მაგრამ იმ მუნიციპალიტეტებში, რომლის საკრებულოებს ჩვენი პარტიის წევრები ხელმძღვანელობენ, სრული დემოკრატიაა. თავმჯდომარეები არათუ შეეკვრნენ ენმ-ს, რომლის მხარდაჭერითაც მიიღეს ეს პოსტი, არამედ მძაფრ დისკუსიებშიც კი შედიან მათთან და იჭერენ იმ მხარეს, რომლის ინიციატივაც სასარგებლო იქნება მოსახლეობისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ პარტიას, რომელიც ხალხისთვის სასიკეთო წინადადებას წამოაყენებს და ვერავინ, განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ „ბოსები“ ვერ გაგვიჩენენ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობის კომპლექსს.

- თქვენი პარტიიდან საკმაოდ ბევრი წევრი გავიდა, რითი ახსნით კადრების გადინების პროცესს?

- ჩვენს ქვეყანაში გარდამავალი დემოკრატიის პროცესები მიმდინარეობს. მას ახასიათებს ნახევრად ავტორიტარული მთავრობები, რომლებიც ყველაფრის ფასად ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას, რაც დაგვიანონსეს კიდეც. გახსოვთ, ალბათ, ირაკლი კობახიძის განცხადება ჩვენს პარტიაში ე.წ. ბურჭულაძიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. ნაგულისხმებია პაატა ბურჭულაძის მიერ პარტიის ჩამოყალიბება, რომელიც თავადვე დატოვა, ისეთ დღეში ჩაგდო უშიშროების სამსახურმა. თუკი ის პოლიტიკური გაერთიანება უფრო კომიკური იყო და როგორც დაიწყო, ისე დაასრულა, ჩვენს შემთხვევაში, გაცილებით მძიმე ბერკეტები გამოიყენეს. საარჩევნო სიების ბოლოს, სიმბოლურად ჩასმული ადამიანებიც კი აიძულეს, პარტიიდან გასულიყვნენ. ყოფილი წევრები მოდიოდნენ ჩვენთან, გვებოდიშებოდნენ, ამბობდნენ, რომ ცოლ-შვილიც კი დაუშინეს. ეს ხალხი ოფიციალურად კი გავიდა, მაგრამ ბოლომდე დარჩა ჩვენ გვერდით, საარჩევნო კამპანიაში. გვესმის, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, პოლიტიკური მიზნებისთვის სახელმწიფო უშიშროების სისტემას იყენებენ, ფარულად უსმენენ პოლიტიკოსებს, ცდილობენ ადამიანების გადაბირებას, რისთვისაც იყენებენ მათ სუსტ მხარეებს. აქედან გამომდინარე, არც ერთ ამ ადამიანზე არ გავნაწყენებულვართ, საკუთარ თავზე მოგვდის ბრაზი, რომ არ გვეყო მათ დასაცავად ძალა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ასეთები ერთეულია, 115 არჩეული დეპუტატიდან, მხოლოდ სამის გადაბირება შეძლეს. იმასაც ვიტყვი, რომ მალე დადგება დრო, როდესაც ვერავინ მოახერხებს პოლიტიკაში ჩართულ ადამიანს საკუთარი სინდისის და ნების საწინააღმდეგოდ გადაადგმევინოს ნაბიჯი. ყველას გმირობას ვერ მოთხოვ, ეს მეც კარგად მაქვს შეგნებული და არც ერთ ადამიანს არ გავკიცხავ არასოდეს.

- თქვენი პარტიიდან წასული ადამიანები აცხადებდნენ, რომ ლიდერები მათთან კონსულტაციების გარეშე აწარმოებდნენ გარიგებებს საკრებულოში.

- არავითარი დისკომუნიკაციის პრობლემა პარტიაში არ ყოფილა. ამ ხმამაღალი სიტყვების ავტორთა კარიერული ზრდა-განვითარების ამბები მოიკითხეთ და პასუხსაც მიიღებთ.

- რატომ აირჩიეთ გახარიას პარტია?

- ჯერ კიდევ სტუდენტობიდან აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. „ქართული ოცნების“ დამფუძნებელიც კი გახლდით ამ ქალაქში. მომწონდა იდეა: სახელმწიფოს ცენტრში ადამიანი უნდა იდგეს და ადამიანზე ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფო. ცუდი ემოციები მაკავშირებდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ის დარბევები, დაპატიმრებები, მკვლელობები, რაც მაშინ ხდებოდა, მიუღებელი იყო ჩემთვის და სწორედ „ქართული ოცნება“ მივიჩნიე მხსნელად. მისი პირველი ნაბიჯები იძლეოდა ამ ოპტიმიზმის საფუძველს, თუმცა ჯამში, „ოცნებამ“ უღალატა 2012 წლის იდეას, რის გამოც დავტოვე კიდეც. გახარია იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც იმედთან ასოცირდებოდა. გაგახსენებთ 2020 წლის თებერვალს - პანდემიის საწყისი ეტაპი, შიში, გაურკვევლობა, პანიკა... ჩემი ქვეყანა სიამაყის საფუძველს არასოდეს მაძლევდა, ან ვალები ჰქონდა, ან ომები - წაგებული ან სადღაც ჰუმანიტარულ დახმარებას ითხოვდა. მხოლოდ პანდემიის საწყის ეტაპზე აღმოვაჩინე, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად, გამიჩნდა სახელმწიფოს იმედი, ვიგრძენი, რომ სახელმწიფო ზრუნავდა ჩემზე და ეს სიმშვიდის საფუძველს მაძლევდა. ევროპაში ერთ-ერთი ბოლო ვიყავით გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობით და ვირუსის გავრცელების ყველაზე დაბალი მაჩვენებელიც გვქონდა. გახარია სისტემურად უყურებს პრობლემებს, ერთჯერად ნაბიჯებს არ დგამს. მაგალითად, ის არ ებრძვის კორუფციის ცალკეულ გამოვლინებას, ის ცდილობდა კორუფციის აღმოსაფხვრელად სისტემური ბრძოლის მეთოდის შემოტანას, მთლიანად კორუფციის რისკებისგან დასაზღვევად და გასანადგურებლად. მისმა ქარიზმამაც ითამაშა როლი და მასში დავინახე მესამე ძალა. გახარიას ძალუძს, გახდეს ახალი პოლიტიკური ლიდერი ახალ ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც დაამარცხებს იმ ბრეჟნევისეულ უძრაობის ხანას, რომელიც „ოცნებამ“ დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში.

> *„ჩვენ არ ვიმყოფებით ბოიკოტის რეჟიმში, „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა საშუალება, ჩაეტარებინა სხდომა ისე, როგორც ეს გავაკეთეთ სენაკში. რეალურად კრიზისი დაიწყო მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა ბოიკოტის რეჟიმში გადასვლა. თეორიულად, ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს 3 ივნისამდე*

ბათუმის მერიის პროგრამები – დაავადებათა პრევენციისთვის

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ საქართველოში ბოლო დროს აქტიურად ალაპარაკდნენ. ლაპარაკს საქმეც მოჰყვა და დღეს უკვე მოქმედებს პროგრამები, რომლებიც მოსახლეობის განსაზღვრულ ჯგუფს (სამიზნე ჯგუფებს) ამა თუ იმ დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკასა და პრევენციაში ეხმარება. მოსახლეობა რომ უკეთ გაერკვეს, რომელი პროგრამა რა დაავადების პრევენციაში დაეხმარება, გთავაზობთ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილების უფროს ***მარინა რუხაძესთან*** *ინტერვიუს.*

- რას გულისხმობს სკრინინგი და რატომ მიიჩნევა ის კიბოსთან ბრძოლის ეფექტურ ინსტრუმენტად?

- სკრინინგი, ეს არის, ხაზს ვუსვამ - ჯანმრთელი პოპულაციის კვლევა რისკჯგუფების გამოსავლენად. სკრინინგს, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს დაავადებები, რომლებიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში და რომელთა ადრეული გამოვლენა ხელს უწყობს ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას. მსოფლიოში იმატა ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვმა, განსაკუთრებით, საშვილოსნოსა და მკერდის კიბომ. ონკოლოგიური დაავადებები თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ავთვისებიანი სიმსივნეები სიკვდილიანობის მაჩვენებლებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. სამწუხაროდ, ონკოლოგიის სფეროში კვლავ აღინიშნება დაავადებების სიხშირისა და გაახალგაზრდავების ზრდის ტენდენცია. სწორედ ამიტომ ბათუმის მერიამ 25-30 წლამდე ქალებისთვის შეიმუშავა პროგრამა, რომლის

გვქონდა და სწორედ ამ სკრინინგ-პროგრამის არსებობით 15 ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინეთ.

- რამდენად ხშირია მომართვიანობა და რა კეთდება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისთვის?

- პერიოდულად ვაქვეყნებთ ამ პროგრამებს ჩვენს ვებგვერდზე - batumi.ge. გარდა ამისა, მასმედიით გადის უფასო სარეკლამო რგოლები, იბეჭდება ბუკლეტები, რითაც ვცდილობთ გავავრცელოთ ინფორმაცია სკრინინგის აუცილებლობაზე, ასევე - ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც ხორციელდება ეს პროგრამები, გამოკრულია ინფორმაცია.

- წელს ბათუმის მერიამ დაიწყო ფილტვის კიბოს სკრინინგი...

- მოვიპოვეთ სტატისტიკური მონაცემები, გავიარეთ კონსულტაციები ონკოლოგებთან და გაირკვა, რომ ონკოდაავადებულთა რაოდენობის მიხედვით პირველ სამეულში შედის ფილტვის კიბო, რადგან მომატებულია მწეველთა რიცხვი. პანდემიის გამო მაღალია ფილტვების დაზიანების საშიშროებაც და ამ ყველაფერმა წარმოშვა ფილტვის კიბოს სკრინინგის აუცილებლობა. შეიძლება გაჩნდეს კითხვა - რატომ 50-დან 65 წლამდე ადამიანებისთვის? სტატისტიკით ყველაზე მეტის დასნეულება იწყება სწორედ ამ ასაკიდან. საქართველოში მსგავსი პროგრამა ნამდვილად არ კეთდება. მინდა აღვნიშნო, რომ ერისთავის კლინიკას ფასიანი მომსახურების ჩვენნაირი ჩამონათვალი ჰქონდა გაკეთებული. ჩვენთან 1500 პიროვნება ისარგებლებს ამ პროგრამით უფასოდ, ასე რომ არ იყოს, 300-350 ლარის გადახდა მოუწევდათ.

- გარდა სკრინინგისა, მერიას კიდევ ბევრი პროგრამა აქვს, მაგრამ, როგორც ვიცით, აქცენტი უფრო მედიკამენტების პროგრამაზე კეთდება, რადგან წამლები ძალიან ძვირია...

- 2022 წლისათვის 5000 პირის მედიკამენტებით უზრუნველყოფაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, შევიმუშავეთ ახალი ღონისძიება იმ შემთხვევებისთვის, როცა ოჯახში სამი და მეტი შშმ სტატუსის პირია და თითოეული ისარგებლებს 200-ლარიანი დახმარებით. მოწყვლადი კატეგორიის ბრონქული ასთმის და ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პირები ისარგებლებენ მათთვის აუცილებელი სპეციფიკური მედიკამენტური დახმარებით (მიიღებენ სამ ცალ „სინდიკორტს“ სხვადასხვა დოზირებით დაავადების სიმძიმიდან გამომდინარე).

- რა პროცედურა უნდა გაიაროს, რომ ეს ვაუჩერი მიიღონ?

- მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეავსონ დადგენილი ფორმის განაცხადი და დარეგისტრირდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, განაცხადის შევსება შესაძლებელია ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე (სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს). განაცხადის შესავსებად საჭიროა ოჯახის სრულწლოვანი წევრების პირადობის, ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო არასრულწლოვანი წევრების შემთხვევაში, დაბადების მოწმობა, სადაც მითითებულია პირადი ნომერი, მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნოტარიალურად დამოწმებული რწმუნებულება, თუ განცხადება შეაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის. განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეივსება „ოჯახის დეკლარაცია“ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება და სხვა).

- ხშირად სვამენ კითხვას - მედიკამენტების ვაუჩერით თუ არის შესაძლებელი ჰიგიენური საშუალებების ყიდვაც?

- ჰიგიენურ საშუალებებზე ბათუმის მერიას ცალკე პროგრამა აქვს შემუშავებული - 30 წლამდე პირები სარგებლობენ 60-ლარიანი ვაუჩერით, რომელიც შეუძლიათ ჰიგიენური საშუალებებისთვის გამოიყენონ და ეს ირიცხება ყოველთვიურად. იმისთვის, რომ ამ პროგრამით ისარგებლოს, სოციალურად დაუცველმა შშმ პირმა უნდა მოგვმართოს ფორმა №100-ით, რომელშიც იქნება გაწერილი, რომ ესაჭიროება მოვლის საშუალებები და საბანკო რეკვიზიტი იქნება მითითებული. მერიას ასევე აქვს შემუშავებული პროგრამა 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ადრე მათთვის გავცემდით 60-ლარიან დახმარებას, ახლა კი არა მხოლოდ ამ ასაკის, არამედ 1-დან 2 წლამდე სოციალურად დაუცველ ბავშვებს ყოველთვიურად ერიცხება 50 ლარი.

- კიდევ რა პროგრამებია სოციალურად დაუცველებისთვის?

- პროგრამით - შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია გათვალისწინებულია შშმ პირების, ომში და ომის შემდგომ დაზიანებულ პირთა, ასევე ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე) ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დასვენება. კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლის, კანალიზაციისა და სანდასუფთავების საფასურის დაფარვა განსაზღვრულია) შემდეგი კატეგორიებისთვის: მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები. დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა (თვეში ერთ სულზე 1,30 ლარი) განკუთვნილია შემდეგი კატეგორიებისთვის: მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი; ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები; 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები. სატელეფონო-საბონენტო გადასახადის დაფარვა - (ერთ ოჯახზე თვეში 5 ლარი) შემდეგი კატეგორიებისთვის: 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და მარჩენალდაკარგულების, ასევე თხევადი აირის ტალონით დახმარება (ყოველთვიურად 5 კგ); მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა; შვილის შეძენასთან დაკავშირებით 0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 800 ლარის ოდენობით; ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში, მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით; სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება; სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარება.

> ***„მოვიპოვეთ სტატისტიკური მონაცემები, გავიარეთ კონსულტაციები ონკოლოგებთან და გაირკვა, რომ ონკოდაავადებულთა რაოდენობის მიხედვით პირველ სამეულში შედის ფილტვის კიბო, რადგან მომატებულია მწეველთა რიცხვი. პანდემიის გამო მაღალია ფილტვების დაზიანების საშიშროებაც და ამ ყველაფერმა წარმოშვა ფილტვის კიბოს სკრინინგის აუცილებლობა***

მეშვეობითაც არცერთი ქალი არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა და დროულად მიმართოს ექიმს. მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მათი სამედიცინო დახმარება, ძირითადად, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტია სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც მოქალაქეების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ამის მიღწევა სრულიად შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტში გათვალისწინებული მიზნობრივი ქვეპროგრამების მეშვეობით.

- რამდენი ხანია რაც სკრინინგ-პროგრამაში ჩაერთო ბათუმის მერია?

- სკრინინგ-პროგრამები 7 წელია მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში და უკვე ძალიან ბევრმა ისარგებლა. გვქონდა გამოვლენებიც, იყო ადრეული და შორს წასული ფორმებიც, აი, მაგალითად, საშვილოსნოს ყელის დისპლაზია კიბოსწინარე მდგომარეობაა, რომლის დროსაც უჯრედების პათოლოგიური ზრდა მიმდინარეობს საშვილოსნოს ყელის ლორწოვანი გარსის ზედაპირზე. აღნიშნული ანომალია ყველაზე ხშირად გვხვდება 30 წლამდე ასაკის ქალებში, თუმცა შესაძლოა განვითარდეს ნებისმიერ ასაკში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია რეგულარული გამოკვლევები მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან, რათა დროულად დაისვას საშვილოსნოს ყელის დისპლაზიის დიაგნოსტიკა და დაინიშნოს მკურნალობა. 15 გამოვლენა

თორნიკე რიჟვაძე საქველმოქმედო ფონდ „იალქანის“ დღის ცენტრის ბენეფიციარების საღამოზრდელო პროცესს გაეცნო

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ასევე პირადად გაეცნო ბავშვების საჭიროებებს. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, ფონდ „იალქანს“ ფართი გადაეცა, სადაც საერთაშორისო სტანდარტების დღის ცენტრი მოეწყო. იგი სხვადასხვა საჭიროების მქონე 50-მდე ბავშვს ემსახურება.

„დღის ცენტრის ბენეფიციარები კულტურულ, სპორტულ ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულნი. ცენტრში ისინი თიხაზე მუშაობას, უცხო ენებს შეისწავლიან. ფონდი გაფართოვდა, მობილური და მულტიდისციპლინური ჯგუფები დაემატა, რომლებიც ბავშვებთან ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ. „იალქანი“ სხვადასხვა საჭიროების მქონე ბენეფიციარებს მაისიდან 24-საათიან მომსახურებას გაუწევს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„პოლიტიკური ასპარეზი ავირჩიე, ბიზნესი შვილებს გადავაბარე“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ბიზნესმენ **ბოჩა ირემაძის** სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის. იგი ჩვენი სტუმარია.*

- ბატონო გოჩა, რა სიახლეებით დაიწყეთ მიმდინარე წელი?

- წელს კურორტ გოდერძიზე სასტუმრო „ირეპალასი გოდერძი“ ავამუშავეთ სატესტო რეჟიმში. მინდა გითხრათ, რომ გამოცდა ჩაბარებულია. მიმიღეს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის წევრად, ვაყალიბებ ახალ პოლიტიკურ პარტიას „ძლიერი საქართველო“. ეს არის პირველი სიახლეები.

- ქვეყნის სამთო-სათხილამურო კურორტებს არაფრით ჩამორჩება გოდერძი, მის განვითარებაში თქვენი წვლილიც შეგაქვთ. როგორ აფასებთ ამ კურორტს?

- ეს ტერიტორია მალე „ქალაქ-კურორტი“ იქნება, 27 ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო შენდება, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი გზა კეთდება. მაღალი ტემპით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. საქართველოში და უცხოეთის წამყვან ქვეყნებშიც კი ასეთი ტემპი იშვიათობაა.

- შარშან ისტორიული ხიხანის ციხეს და მთელ ხეობას მისწვდა თქვენი მადლიანი ხელი. „ირეპალასი ხიხანი“ ამის დასტურია. ისტორიულ ხეობასა და აჭარის მთიანეთში ტურიზმის განვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?

- ტურიზმმა უკვე აიდგა ფეხი აჭარის მთიანეთში. თავიდანვე დავინახე მისი პოტენციალი, როდესაც აჭარის სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტად ამირჩიეს, პირველი ტურნირი სათხილამურო სპორტში გომარდულში ჩავატარე. მახსოვს, როგორ ვნერვიულობდი, რადგან პირველი იყო, მაგრამ თანამშრომლების - თემურ ზოიძის, ვახტანგ მეხეშიძის, გია ჭაღალიძის, ალიკა მსახურაძის, გომარდულის მკვიდრების დახმარებით, საუკეთესო ტურნირი ჩავატარეთ. შემდეგ დაიწყო გოდერძის პოპულარიზაცია. გაკეთდა ტრასები, საბაგირო გზა გონდოლებითა და ბაბლებით, კეთილმოეწყო მწვანე ტბის ტერიტორია, გოდერძის ალპური ბაღი. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ასეთი ბაღი პირველია ქვეყანაში. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ თქვა, ბეშუმიდან გადავა ახალი გზა ჩირუხისა და ხიხანის მიმართულებით, კურორტის განვითარებისთვის ყველაფერს აკეთებს მთავრობა და ჩვენც ვართ ჩაბმული ამ ფერხულში. ვფიქრობ, ტურისტები არ მოგვაკლდება.

- წამოიწყეთ მოძრაობა, ხულოს მუნიციპალიტეტს დაუბრუნდეს მისი ძირძველი სახელი „დიდაჭარა“. საამისოდ რა საფუძვლები გაქვთ?

- დავით მუსხელიშვილის კვლევები და სიმონ გოგიტიძის ნაშრომი მიგვანიშნებს: „დიდაჭარა ზემო აჭარის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო. გვიან საუკუნეებში კი „ხულა“. ასევე დ. მუსხელიშვილის გამოკვლევებით დიდაჭარა ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან კი არა, უფრო ძველადაც აჭარის ცენტრი იყო. XI საუკუნიდან კი ხიხანი ანუ ხიხათა ციხე გვევლინება აჭარის ცენტრად. დავით

„დაიწყო გოდერძის პოპულარიზაცია. გაკეთდა ტრასები, საბაგირო გზა გონდოლებითა და ბაბლებით, კეთილმოეწყო მწვანე ტბის ტერიტორია, გოდერძის ალპური ბაღი. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ასეთი ბაღი პირველია ქვეყანაში. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ თქვა, ბეშუმიდან გადავა ახალი გზა ჩირუხისა და ხიხანის მიმართულებით

მუსხელიშვილი ამბობს, რომ აჭარის ხევებს შორის ბრძოლა იმით დასრულდა, რომ დიდაჭარა ზღვის სანაპირო ზოლშიც გაბატონდა (რიონამდე). ეს მოვლენა ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულს დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან სწორედ ამ დროიდან ჩანს ბერძნულ წერილობით ძეგლებში დიძერები//(=დიჭერები// დი(და) ჭარები (სიმონ გოგიტიძე დიდაჭარა I-II საუკუნეებში“ გვ 17, 18). ასევე ენათმეცნიერი რამაზ პატარაძეც ამბობს, რომ „დიდაჭარა არის წელთაღრიცხვა და ნიშნავს 540-ს. ასევე აღნიშნავს, რომ მთავრდება ქართული მთვარის კალენდარი და იწყება ქართული მზის კალენდარი. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოცემულ პირველ ტომში ნათქვამია: „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვიდრთა შორის მის ქალაქთისა, განვიდა მიერ და შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც „დიდაჭარა“ ეწოდების“. იგივე ცნობით, სოფელ დიდაჭარაში ააგო პირველი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულმა. თუ საბჭოთა სახელებიდან მაიაკოვსკს დაუბრუნდა ქართული სახელი და ქვია ბაღდათი, გეგეჭკორს - მარტვილი, ცხაკაიას - სენაკი, ბოგდანოვკას - ნინოწმინდა, მახარა-ძეს - ოზურგეთი და სხვ. ჩვენ რატომ არ უნდა დავიბუნოთ ისეთი ძირძველი ქართული ფესვის სახელი, როგორიც დიდაჭარაა, ვფიქრობ, ეს საკითხიც მალე მოგვარდება.

- თუ უჭერენ მხარს ამ ინიციატივას?

- Facebook-ის გამოკითხვით, მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ან რატომაც არ უნდა დაუჭიროს, როდესაც ძირძველ ქართულ (შუმერულ-კოლხურ) ფესვზეა საუბარი.

- ახალი პარტიის დაფუძნება ახსენეთ, რამდენად რეალურია ეს?

- გიდასტურებთ, რომ იგი სინამდვილეს შეესაბამება - ვაპირებ პოლიტიკური პარტია „ძლიერი საქართველოს“ დაფუძნებას. პირველი ყრილობა ალბათ, მაისში გაიმართება, თბილისში.

- სამშენებლო კომპანია „ბათმშენი-2007“-ს და სასტუმრო-კომპლექს „ირეპალასს“ ხელმძღვანელობთ. სხვებთან ერთად, დასაქმებული გყავთ ოჯახის წევრები. რამდენად ამართლებს ასეთი პოზიცია?

- საქმისადმი ასეთი მიდგომა, ნამდვილად ამართლებს, მთელი ოჯახი ერთად ვშრომობთ. მაგრამ მარტო შრომა სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე, რთულია. პროგრამა „აწარმოე საქართველო“, დიდად დაგვეხმარა „ირეპალასი გოდერძის“ განვითარებაში. აქვე გეტყვით, რომ ბიზნესში უკვე აღარ ვარ, პოლიტიკური ასპარეზი ვარჩიე და ბიზნესი შვილებს გადავაბარე.

- ქველმოქმედი და მეცენატი - ასე დაამახსოვრეთ ხალხს თავი. ბიზნესი, ოჯახი, სამეგობრო წრე - ეს ყველაფერი დროის სწორად გადანაწილებას ითხოვს.

- პირდაპირ გეტყვით - ჯერ ოჯახი, დანარჩენი ბუნებრივად, თვითდინებით ნაწილდება.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- მეგობრებთან ერთად სადილი, მაგიდის ჩოგბურთის თამაში, მანქანით გასეირნება ქალაქში, ცხენებით ჯირითი და სხვა - ეს არის ჩემი თავისუფალი დროის პროგრამა.

ელექტრონული ვაჭრობა პროდუქციის და სერვისის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური არხია

IBDIPC-ის ტრენინგების სერია - „ადგილწარმოშობის პროდუქტები და ელექტრონული კომერცია/ონლაინვაჭრობა“

საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრი (IBDIPC) საერთაშორისო პროექტს - „შავი ზღვის გეოგრაფიული აღნიშვნების ქსელი“ (BS GIN - BSB 1191)“ ახორციელებს. პროექტის პარტნიორები არიან „აღმოსავლეთ შავი ზღვის განვითარების სააგენტო (DOKA)“ (თურქეთი) და ორგანიზაცია „TEHNOPOL“ (რუმინეთი). პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ENI შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა ტრენინგების სერია - „ადგილწარმოშობის პროდუქტები და ელექტრონული კომერციის/ონლაინვაჭრობის საკითხებზე“. ეს ტრენინგები ბათუმში, მარტ-აპრილში გაიმართა და მასში მონაწილეობდა 75-მდე ადამიანი, რომლებსაც გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. ტრენინგში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები - პროდუქციის (ღვინო, თაფლი, ჩაი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი და ა.შ.) და ხელნაკეთი ნივთების მწარმოებლები, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები, ასევე „აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაციის“ წევრები და აჭარის „აგროსერვის-ცენტრის“ ბენეფიციარები.

აღნიშნული ტრენინგები მიზნად ისახავდა ადგილწარმოშობის პროდუქტების (გეოგრაფიული აღნიშვნის) ძირითადი კონცეფციის, მისი მნიშვნელობის და საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვას, აგრეთვე ელექტრონული კომერციის/ონლაინვაჭრობის და ციფრული მარკეტინგის, პრაქტიკული ნიუანსების გაცნობას. თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონული ვაჭრობა საკმაოდ სწრაფი ტემპებით ვითარდება. იგი პროდუქციის და სერვისის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური არხია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე მეწარმეებისთვის, რომლებსაც დიდი მარკეტინგული ბიუჯეტი და წვდომა დისტრიბუციის არხებზე არ გააჩნიათ. ონლაინვაჭრობის, ციფრული მარკეტინგის სპეციფიკის ცოდნა მათ დაეხმარება, აქტიურად ჩაერთონ ელექტრონულ კომერციაში და მცირე ბიუჯეტის ფარგლებში შეძლონ თავიანთი პროდუქციის/სერვისების პრომოუშენი და გაყიდვები სხვადასხვა ონლაინპლატფორმაზე.

ტრენინგებს უძღვებოდნენ მოწვეული ტრენერები - „საქპატენტის“ ტრენინგცენტრის ხელმძღვანელი ანა დალაქიშვილი და Amazon Export Hub-ის დამფუძნებელი საქართველოში, საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაციის პრეზიდენტი ლევან მოლაშვილი, რომლებსაც ამ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

მარი მიდასელი

ცირა ბარბაქაძე: თუ არ იგუგლები, არ არსებობ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*განვითარების ამ ფაზაში ძალას იკრებს და ცხოვრებაში მკვიდრდება ურთიერთობების ახალი ფორმა - ვირტუალური, რომელიც სრულად მოიცავს ციფრულ ტექნოლოგიებს და სხვა გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს - ყველას უნდა შეეძლოს ამ ფორმით წარადგინოს საკუთარი თავი, ამიტომ მნიშვნელოვანია ციფრული სამყაროს ახალი უნარების შეძენა, სწორედ ამ უნარების ჩამოყალიბებას ემსახურება სამეცნიერო პროექტი „განათლება ციფრულ ეპოქაში და ცნობიერების (რ)ევოლუცია“, რომელიც ითვალისწინებს ცნობილი მეცნიერის და მწერლის, ა(ა)იპ „თანამედროვე რიტორიკის აკადემიის“ დამფუძნებლის და აღმასრულებელი დირექტორის, ქალბატონ ცირა ბარბაქაძის სალექციო კურსს. ახლახან დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ამ პროექტის მეორე სეზონი. მასში 200-ზე მეტი მასწავლებელია დარეგისტრირებული. პროექტი განკუთვნილია მათთვის, ვინც სწავლობს და ასწავლის... უფრო უკეთ ამის შესახებ თავად ქალბატონი **ცირა ბარბაქაძე** გვესაუბრება.*

- რას გვეტყვით თქვენი ახალი პროექტის - „განათლება ციფრულ ეპოქაში და ცნობიერების (რ)ევოლუცია“ შესახებ?

- ეს პროექტი მასწავლებლებისთვის გამოვაცხადეთ. უკვე დავიწყეთ მისი მეორე სეზონი, პირველი სულ ახლახან დავასრულეთ. პროექტის მენეჯერია რამაზ ზოსიაშვილი. ჩვენ ერთობლივად და წარმატებით უკვე მეოთხე პროექტს ვახორციელებთ. იგი ძალიან აქტუალური აღმოჩნდა და 200-ზე მეტი მასწავლებელი დარეგისტრირდა პირველივე სეზონზე. პროექტი ითვალისწინებდა არა მხოლოდ ჩემს სალექციო კურსს, არამედ მასწავლებელთა ცოდნის ურთიერთგაზიარებასაც. ათობით მასწავლებელმა გაუზიარა ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება. საინტერესო იყო დისკუსიები ციფრულ ეპოქაში განათლების საკითხებზე. კურსის ბოლოს მასწავლებლებმა საკონკურსოდ ჩაწერეს შემოქმედებითი ვიდეოგაკვეთილები. კომპეტენტურმა ჟიურიმ (გიგი თევზაძე, ნატო ინგოროყვა, გოდერძი შარაშია, გიორგი გახელაძე, მეგი კავთუაშვილი, ცირა ქობულაძე) შეაფასა მათი ნამუშევრები და გამოავლინა გამარჯვებულები. პირველი პრემია მიიპოვა მიმოზა ღოლიჯაშვილმა, მეორე – სალომე მიქაძემ, ხოლო მესამე – მიხეილ აბულაძემ და შორენა ქადიძემ, გაიცა სპეციალური პრემიებიც. ამ პროექტის ფარგლებში გამოიცა ჩემი წიგნი – „გზავნილები მასწავლებლებისთვის“, მთელი ტირაჟი საჩუქრად გადაეცათ პროექტის მონაწილე მასწავლებლებს. ამ იდეის ავტორიც და განმახორციელებელიც რამაზ ზოსიაშვილია.

- ვის შეუძლია ამ პროექტში მონაწილეობა?

- ვინც სწავლობს და ასწავლის, ვინც დაინტერესებულია თვითგანვითარებით და ცნობიერების ევოლუციით, შემოქმედებითი და კრეატიული აზროვნების განვითარებით. პროექტში ცოდნასთან ერთად მონაწილეები გაეცნობიან სამეცნიერო კვლევებსა და სწავლებაზე დაფუძნებულ გამოცდილებებს და აქტივობებს, რომლებიც ცოდნის მიღებას ზეიმად აქცევს მათთვის, მათი მოსწავლეებისთვის, შვილებისთვის და ასე შემდეგ.

- სამყარო იცვლება, ციფრულ ტექნოლოგიებთან ურთიერთობა რა გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანებს?

- თანამედროვე სამყაროში თითქმის ყველა ადამიანს უნდა „ჰყავდეს“ თავისი ციფრული ორეული, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იქმნება სიტყვებით, ბლოგებით, ვლოგებით, ვიდეოებით, კომენტარებით და ასე შემდეგ. ყველას უნდა შეეძლოს, სათანადოდ წარადგინოს ციფრულად საკუთარი თავი, საკუთარი იდეები, გამოთქვას მოსაზრებები, შესთავაზოს მომხმარებელს საკუთარი პროდუქტი ან მომსახურება და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ციფრულ სამყაროში ადამიანები არიან რეჟისორები, სცენარისტები, ინჟინრები, ქოფირაიტერები... ციფრული სამყაროს სლოგანია: „თუ არ იგუგლები, არ არსებობ...“ ამიტომ მნიშვნელოვანია ციფრული სამყაროს ახალი უნარების შეძენა.

- ახალი ევოლუციური ცნობიერება რამდენად განსაზღვრავს ჰარმონიულ აზროვნებაზე გადასვლას? რას ნიშნავს თქვენეული „მეტაფორებით სწავლება“?

- „მეტაფორა ალბათ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი შესაძლებლობაა. მისი ეფექტურობა მაგიის ზღვარზეა და როგორც ჩანს, ის შემოქმედებითი ინსტრუმენტია, რომელიც ღმერთმა ჩადო თავის ქმნილებაში“ (Jose Ortega y Gasset). მომავლის (აწმყოს) ადამიანი სრულყოფილი ვერ იქნება ჰარმონიული განვითარების გარეშე. რას ნიშნავს ჰარმონიული განვითარება? მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროს (მეცნიერების და ხელოვნების) უნარების თანაბარ და სინქრონულ ფუნქციონირებას. ამ უნარებს ადამიანები ცალ-ცალკე ავითარებენ. იშვიათად შეხვდებით მეთოდს, რომელიც ორივე ნახევარსფეროს ერთდროულად ავითარებს და მათ სინქრონიზაციას იწვევს. ამას აკეთებს მეტაფორებით სწავლება. მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროთა სინერგია თქვენს ცხოვრებას, თქვენს შესაძლებლობებს და სამყაროს სრულიად ახალი რაკურსით წარმოგიდგენთ. გული და გონება, სული და სხეული, ლოგიკურ-ანალიტიკური და შემოქმედებითი – ერთდროულად იწყებს მუშაობას, რაც წარმოქმნის უნიკალურ ენერგიას, ხსნის სამყაროში ახალი განზომილების სარკმელს და ეს ყველაფერი - მეტაფორული /აბდუქციური აღქმა/ აზროვნების განვითარებით; მეტაფორული სავარჯიშოები ტვინს აიძულებს, ეძებოს ახალი ნეირონული კავშირები... წარმოქმნილი ქსელი ნებისმიერ სიტუაციას და პრობლემას ამუშავებს ახალი შესაძლებლობების კონტექსტში.

- ამ ევოლუციურ პროცესში რა როლი ეკისრება მასწავლებელს, როგორც ახალი სამყაროს კონსტრუქტორს?

- მასწავლებელი არის ის, ვისაც დღევანდელი ცოდნა ხვალ მიაქვს საკლასო ოთახში და ამგვარად გეომეტრიული პროგრესიით იწვევს ცვლილებებს; მოსწავლეები ძალიან სწრაფად იღებენ სიახლეებს და ცოდნა გადააქვთ მოქმედებაში. მთავარია, მასწავლებელმა სწორად მიაწოდოს ეს ცოდნა.

- გაჩნდა ახალი პროფესია „განათლების მრჩეველი“, რა არის მისი მისია და დანიშნულება?

- მომავალში კი არა, უკვე აწმყოშიც, მოქმედია ეს პროფესია. შეიძლება სწავლების ფორმატი მოვალში სულაც დიდი დოზით დარჩეს ციფრული, მაგრამ „განათლების მრჩეველი“ ყოველთვის საჭირო იქნება; სულ უფრო გაიზრდება მოთხოვნა მასზე, განათლების მრჩეველი აფასებს მოსწავლეს, მის უნარებს, სურვილებს, შესაძლებლობებს. უგეგმავს ახალგაზრდას, რომელი უნარები და როგორ განავითაროს, სად გააგრძელოს სწავლა და საშუალებას აძლევს, ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას სასწავლო დაწესებულებებზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. აგრეთვე მნიშვნელოვანია, მან იცოდეს მომავლის ყველაზე უფრო აქტუალური პროფესიები...

- ციფრული სამყაროს ახალი უნარების ფორმირებისას ჩვენს რეალობაში რა გამოწვევები და საფრთხეები იკვეთება?

- ციფრული სამყარო აჩენს ახალ შესაძლებლობებს, ის საშუალებაა და არა მიზანი. ერთადერთი საფრთხე ამ ამბავში არის თავად ადამიანი და მისი ზრახვები - ეგოიზმი, ამბიცია და ასე შემდეგ.

- აშკარაა, რომ ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ ხელოვნური ინტელექტი შეასრულებს ბევრ საქმეს. ფსიქოლოგიურად, მენტალურად და ინტელექტუალურად რამდენად მომზადებულია ამისთვის ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენები?

- ადამიანთა ყურადღება იმდენ ყალბ ინფორმაციას აქვს დაპყრობილი, ამ მიმართულებით ნაკლებად ფიქრობენ, თუმცა, ახალი რეალობა ჩამომდგარია ბაქანზე და არავის ეკითხება, არის თუ არა მზად ამისთვის.

- რას ურჩევდით სხვადასხვა პროფესიის ადამიანს, რომელთა საქმიანობასაც ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს, რა გზებს უნდა დაადგნენ თვითრეალიზაციისთვის?

- ვფიქრობ, არასდროს იმდენი გზა და საშუალება არ ყოფილა რეალიზაციისთვის, რამდენიც ახლაა, უბრალოდ, უნდა გაიღვიძოს ადამიანმა.

მთავრობამ ევროკავშირში გაწევრიანების კითხვარი გაასაჯაროვა

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის გუშინდელ სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელძღვანელობით გაიმართა.

ევროკავშირში გაწევრიანების სპეციალური კითხვარის პირველი ნაწილი საქართველოს 11 აპრილს, ლუქსემბურგში გადმოეცა. კითხვარის საფუძველზე ევროკომისია მოამზადებს შეფასების ანგარიშს (Opinion), ქვეყნისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. კითხვარი მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაწილებს, ამასთან, საქართველო უახლოეს პერიოდში მიიღებს კითხვარის მეორე ნაწილს, რომელიც დაეთმობა დარგობრივ თემებს და სექტორების მიხედვით ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობას.

კითხვარი იხილეთ ბმულზე: https://www.gov.ge/files/573_81722_499977_FINALQuestionnaireGeorgiapartI.pdf

ამირან გურიელიძე

მმართველი გუნდის წარმომადგენლების აზრით, რატომ არ მივიდნენ საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციონერები?

მე-3 გვერდიდან

რომლებიც შეძლებენ საკუთარი სინდისით იმოქმედონ. აქვე, სათქმელია ისიც, რომ პარტია „საქართველოსთვის“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაო-ბასთან“ ერთად მოქმედებს. ამის თქმის საშუალებას ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, საკრებულოს 12 აპრილის სხდომაც გვაძლევს - პარტიის წარმომადგენელი სხდომაზე არ მოვიდა. ერთი ერთში იმეორებს „ნაცმოძრაობის“ ნარატივს. პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, ამდენად, ვიმედოვნებ, ადამიანები, რომლებსაც მოსახლეობამ ქალაქზე ზრუნდა დაუკვეთა, გონს მოვლენ და ბათუმს თავიანთ ვიწრო პარტიულ ინტერესს არ გადააყოლებენ.

- დამოუკიდებელმა დეპუტატმა რომ შეიცვალოს დამოკიდებულება და დაუბრუნდეს ოპოზიციას? რამდენად ხართ მასში დარწმუნებული?

- დამოუკიდებელმა დეპუტატმა ირაკლი თავდგირიძემ თავისი პოზიცია მედიასთან არაერთხელ დაააფიქსირა და განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს რამაზ ჯინჭარაძის უფლებამოსილების ცნობას. მანამდე თქვა ისიც, რომ არ ითანამშრომლებდა „ნაცმოძრაობასთან“. უფრო დეტალურად საკუთარ პოზიციაზე თავად ისაუბრებს.

- როგორ ფიქრობთ, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება?

- იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცევა ბოლო წლებში ოპოზიცია - ჯერ აანონსებს ბოიკოტს და შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში შედის, არ გამოვრიცხავ, რომ ბათუმის საკრებულოშიც შემოვიდნენ. რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, არა მგონია, ეს ოპოზიციის ინტერესში შედიოდეს. 2 აპრილის შუალედურმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მოსახლეობა მმართველ გუნდს ენდობა. დაველოდოთ მოვლენებს - „აღდგომა და ხვალეო“.

- გახარიას პარტიის წევრი აკაკი გვიანიძე ხშირად ახსენებს „კომპრომისს“. როგორ ფიქრობთ, რას ითხოვს?

- აკაკი გვიანიძეს თუ რამე უნდა, მოვიდეს და პირდაპირ თქვას, ამ ეტაპზე კი აშკარად ჩანს, რომ ახმოვანებს პარტიის პოზიციას და ჩემთვის, ისევე როგორც უამრავი ბათუმელისთვის, ეს პოზიცია „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსია.

თურქეთიდან უკვე შემოვიდა 213 დასახელების მედიკამენტი, რის შედეგადაც ფასები წამლებზე 60-80%-ით შემცირდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტებისა და მომწოდებელი ფარმაცევტული დაწესებულებების რაოდენობა მუდმივად იზრდება. თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების ყიდვა საქართველოს შვიდ სააფთიაქო ქსელში შეიძლება, - ნათქვამია ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს პრესრელიზში.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი თურქეთისთვის იანვრის შუა რიცხვებში, მთავრობის შესაბამის დადგენილებაზე ხელმოწერის შემდეგ გაიხსნა. თურქეთიდან საქართველოში უკვე შემოვიდა 213 დასახელების მედიკამენტი, რის შედეგადაც ფასები წამლებზე 60-80%-ით შემცირდა.

თურქეთიდან შემოტანილი იაფი მედიკამენტების შეძენა შესაძლებელია „ფარმადეპოს“, „ავერსის“, „პსპ“-ს, „იმპექსის“, „ჯიპისის“, „ფარმსახლის“ და „დოიჩე აფთიაქის“ ქსელებში. როგორც ჯანდაცვის უწყებაში აღნიშნავენ, თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატებისა და მიმწოდებელი ფარმაცევტული დაწესებულებების სია მუდმივ რეჟიმში იზრდება.

თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტის ტემპის გაზრდის მიზნით, ჯანდაცვის მინისტრის ინიციატივით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო სამკურნალო საშუალებებს გამარტივებულ რეჟიმში არეგისტრირებს. ამის წყალობით სააგენტომ უკვე 213 პრეპარატი დაარეგისტრირა. ფარმაცევტულ კომპანიებს ქვეყანაში პრეპარატების შემოტანა კიდევ უფრო გამარტივებული წესით შეუძლიათ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/04/22, 21 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ჯგუფი „ამნეზია“ – შესანიშნავი ბათუმური დებიუტი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულმა მუსიკალურმა საღამომ, რომელიც თბილისურმა ჯგუფმა „ამნეზია“ შემოგვთავაზა, მსმენელი გულგრილი არ დატოვა. ეს ჯგუფის პირველი შეხვედრა გახლდათ ბათუმელებთან და თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა

სახელწოდებაც ისევე შემთხვევით დაირქვეს, როგორც თავად ჯგუფი შექმნეს. ალექსანდრე ბეგალიშვილი (გიტარა, ვოკალი), გოგა მოძმანაშვილი (ვოკალი, პერკუსია), გიორგი ყველაშვილი (გიტარა, ვოკალი) თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობები არიან. ხუთი წლის წინ ჯგუფი ჩამოაყალიბეს, თორემ ერთად 1997 წლიდან უკრავენ. თავიდან ერთობოდნენ, მეგობრებსაც ართობდნენ სალონურ, ვიწრო წრეში. „გაოფიციალურება“ მას შემდეგ გადაწყვიტეს, როცა ერთ დღეს საგრიმიოროში ნატო გელაშვილის სიმღერა „დეკემბერი“ საკუთარი ინტერპრეტაციით ჩაწერეს, ინტერნეტში დადეს და... მეორე დილით 150 ათასზე მეტი ნახვა და მოწონება ჰქონდათ. ასე შეიკრა მშვენიერი ჯგუფი. ძირითადად საავტორო - საკუთარ სიმღერებს ასრულებენ ქართულად. სიმღერებს ერთად ქმნიან, შეხმატკბილებულად, მეგობრულად მუშაობენ და ეს მათ შემოქმედებასაც ეტყობა. კონცერტზე წარმოგვიდგინეს „გაცოცხლებული“ თაროზე შემოდებული ძველი სიმღერებიც. როგორც გვითხრეს, არ აპირებდნენ ასე საქვეყნოდ გამოჩენას, მაგრამ იმ პირველი სიმღერის პოპულარობამ განაპირობა, რომ ტელევიზიებში, რადიოში მიიწვიეს, ყურადღების ცენტრში რომ აღმოჩნდნენ, გადაწყვიტეს, საკუთარი ამბები სააშკარაოზე გამოეტანათ, ოღონდ - ყოველგვარი ამბიციების გარეშე: გვინდა, ჩვენც გავერთოთ და ჩვენი მსმენელიც. დიდ მუსიკოსობაზე თავს ნამდვილად არ ვდებთო.

კონცერტი „ქართველის სიმღერით“ დაიწყეს, რასაც რამდენიმე სიმღერის „ქავერი“ მოჰყვა. მათი სიმღერები ძალიან მოსწონთ ახალგაზრდებს, თუმცა მეც ძალიან მომეწონა მათი საკმაოდ მელოდიური სიმღერები და უშუალო, თბილი, სიყვარულით გაჟღენთილი ურთიერთობა დარბაზთან. რა თქმა უნდა, ზოგიერთ სიმღერაში ცოტა სლენგი, ბილწი სიტყვებიც ურევია, მაგრამ რეალურ ამბებს თვითკრიტიკული იუმორით გადმოსცემენ. გზადაგზა ამა თუ იმ სიმღერის დაწერის ისტორიასაც გვთავაზობდნენ. ერთი სიტყვით, „ამნეზია“ ისეთი ჯგუფია, კიდევ რომ მოგინდება მოსმენა.

- ისეთი საღამო იყო, რომელმაც დაგვავიწყა ყოფითი პრობლემები, ტკივილები. მსგავსი ჯგუფები საქართველოში, სამწუხაროდ, ცოტაა. მათ ალბათ, სჭირდებათ თანადგომა და მხარდაჭერა როგორც კერძო სექტორისგან, ისე სახელმწიფოსგანაც. ეს ადამიანები სიმღერით ძალიან თბილად ამბობენ, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და როგორ დაუდგე მას გვერდით, გვიჩვენებენ მანკიერ მხარეს, გვივსებენ დანაკლისს, გვაიმედებენ. ყველაფერს თავად წერენ, არ ივიწყებენ არც კლასიკას, უცხოურ ესტრადას, იშვიათი მუსიკოსები არიან. ამავდროულად, მუსკომედიის მსახიობებიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი ადამიანები არიან, წლებია, ვმეგობრობთ. ბედნიერებაა, რომ დღეს ასე კარგად წარმოჩნდნენ ბათუმში. ვისურვებ, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს ეს ჯგუფი, - გვითხრა რეჟისორმა პეტრე ჩარგეიშვილმა.

საღამო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრისა და მუსიკოს ნიკო ბერიძის თანადგომით გაიმართა.

დედაენა – ჩვენი საფიცარი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახეველი ჭაბუკები და ქალიშვილები, ქვეყნის ახალგაზრდობასთან ერთად, დედაენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებისთვის 44 წლის წინათ თბილისსა და ბათუმში გამართულ საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი ახლა ომაშვერცხლილი ბაბუები და ბებიები არიან, მრავალი მათგანი წუთისოფელშიც აღარაა

უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სკოლებში კიდევ საქმიანობენ იმ დღეების მომსწრენი და მონაწილე პედაგოგები. ისინი, საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლეები მოვიდნენ შუახევის სახელოვნებო სკოლის უჩამბის ფილიალის აღსაზრდელების (პედაგოგები მარინა ფევაძე-ზოიძე, ლია ბერიძე-გამრეკელიძე) მიერ დედაენის დღეს გამართულ საზეიმო საღამოზე.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე, სახელოვნებო და უჩამბის საჯარო სკოლების დირექტორები ნინო ბერიძე, ჯემალ გამრეკელიძე.

აღსაზრდელებმა წაიკითხეს ლექსები, მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით შეასრულეს სიმღერები, ნაწყვეტები ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან.

- პანდემიამ, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა საზოგადოებრივი აქტიურობა თითქმის ჩაკლა. სახელოვნებო სკოლის უჩამბის ფილიალის აღსაზრდელებმა გული გაგვიხალისეს, სკოლის პედაგოგთა საქმიანობა წარმოაჩინეს. 9 აპრილს რიკიხეთის უბანში ტრაგიკული დღე გავიხსენეთ. 14 აპრილს დედაენის ზეიმი მოეწყო, 18 და 19 აპრილს სტიქიის შედეგად დაღუპულებს მივაგებთ პატივს. 22 აპრილიდან წმინდა აღდგომის დღეები იწყება. ადამიანებს თანადგომა, მოფერება უხარიათ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

უკრაინა

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას დაღუპული ორი ქართველი მებრძოლი, დავით მენაბდიშვილი და ნიკა შანავა, საქართველოში ჩამოასვენეს. მათი ხსოვნისთვის პატივის მისაგებად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ოჯახის წევრები, ახლობლები და რიგითი მოქალაქეები შეიკრიბნენ. დაღუპული ქართველები აეროპორტიდან საქართველოსა და უკრაინის ჰიმნების ფონზე გამოასვენეს. დავით მენაბდიშვილი მშობლიურ ქალაქ რუსთავში გადაასვენეს. მას ახლობლები და თანამოქალაქეები დროშებით და ყვავილებით რუსთავის შესასვლელშივე დახვდნენ. მოქალაქეების ნაწილმა მის ხსოვნას პატივი მუხლმოდრეკილმა, დუმილით მიაგო.

* * *

უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან უკრაინელმა სამხედროებმა 20 ათასი რუსი ჯარისკაცი მოკლეს. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. მისივე ცნობით, განადგურდა რუსეთის 756 ტანკი, 1976 ჯავშანტექნიკა, 366 საარტილერიო სისტემა, 122 სარაკეტო სისტემა, 66 ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, 163 თვითმფრინავი, 144 ვერტმფრენი, 1443 საავტომობილო ტექნიკა, 8 გემი-კატერი, 76 საწვავის ავზი, 135 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 25 სპეციალური აღჭურვილობა, 4 სარაკეტო კომპლექსი.

* * *

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის საზღვაო ძალების შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი და სიამაყე, გვარდიის სარაკეტო კრეისერი „მოსკოვი“ შავ ზღვაში ჩაიძირა. ეს მოხდა პორტში ბუქსირებისას. „კრეისერი „მოსკოვი“ შტორმის პირობებში ჩაიძირა საბრძოლო მასალის აფეთქებისას გაჩენილი ხანძრის შედეგად მიღებული კორპუსის დაზიანების გამო“, - აღნიშნულია განცხადებაში. კრეისერის ეკიპაჟი შავი ზღვის ფლოტის გემებზე გადაიყვანეს.

* * *

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა 2 საკვანძო სამხედრო-საზღვაო ობიექტი დაკარგა, რამაც ფლოტის მდგომარეობა შეარყია, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის უახლეს ინფორმაციაშია ნათქვამი. დაზვერვის ცნობით, რუსეთმა აღიარა კრეისერ „მოსკოვის“ ჩაძირვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. უწყებაში განმარტავენ, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი ასრულებდა საკვანძო როლს როგორც სამეთაურო ხომალდი, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მიმართულებით. „საბჭოთა ეპოქის გემი „მოსკოვი“ იყო რუსეთის საზღვაო ფლოტის „სლავას“ კლასის სამი კრეისერიდან ერთ-ერთი. 1979 წელს კრეისერმა გაიარა კაპიტალური რემონტი თავისი შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და დაბრუნდა ექსპლუატაციაში მხოლოდ 2021 წელს. კრეისერის ჩაძირვა ნიშნავს, რომ უკრაინაში შეჭრის შემდეგ ზიანი მიადგა რუსეთის ორ სამხედრო-საზღვაო ობიექტს. პირველი მათგანი იყო „ალიგატორის“ ტიპის რუსული სადესანტო ხომალდი „სარატოვი“. ორივე მოვლენა, დიდი ალბათობით, აიძულებს რუსეთს, გადახედოს თავის საზღვაო პოზიციას შავ ზღვაში“, - ნათქვამია დაზვერვის ინფორმაციაში.

* * *

ბუჩის მერის ანატოლი ფედორუკის თქმით, ცხედრების თითქმის 85%-ს, რომლებიც ახლა ქალაქში გათხრილი ცალკეული სამარხებიდან და მასობრივი საფლავებიდანაა ამოღებული, ნატყვიარი ეტყობა. „ანუ ბუჩაში გააზრებული, წინასწარ-განზრახული მკვლელობა მოხდა“, - ხაზგასმით აღნიშნა ფედორუკმა. მან ასევე განაცხადა, რომ წმინდა მოციქულის, ანდრია პირველწოდებულის ტაძრის ტერიტორიაზე ცხედრების გადმოსვენება, სავარაუდოდ, პარასკევს დასრულდება. ცხედრები იგზავნება მორგებში და შესაბამისი პროცედურების შემდეგ, მათ დასაკრძალად ახლობლებს გადასცემენ.

* * *

მახსოვს რუსეთის შემოჭრის პირველი დღე. არავინ იყო დარწმუნებული, რომ ამას გავუძლებდით, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. „რბილად რომ ვთქვათ, არავინ იყო დარწმუნებული, რომ ამას გავუძლებდით. ყველა თანაგვიგრძნობდა. ბევრმა მირჩია ქვეყნიდან გაქცევა, მირჩია, რეალურად ტირანიას დავნებებოდით, მაგრამ არ გვიცნობდნენ, არ იცოდნენ, რა მამაცები არიან უკრაინელები, რამდენად ვაფასებთ თავისუფლებას და ჩვენს შესაძლებლობას ვიცხოვროთ ისე, როგორც გვსურს და არა ისე, როგორც სურს ხალხს, რომლის არმია უნიტაზებს ცხოვრებაში პირველად ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხედავს და ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ტექნიკასაც კი იპარავს“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

ომის 50 დღის განმავლობაში უკრაინა გახდა გმირი მთელი თავისუფალი სამყაროსთვის, - თქვა უკრაინის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ოკუპანტები პასუხს აგებენ ყველაფერზე, რაც უკრაინაში ჩაიდინეს. ყველაფრისთვის, რაც უკრაინელებს გაუკეთეს“. „ისინი პასუხს აგებენ ბუჩასთვის, კრამატორსკისთვის, ვოლნოვახასთვის, ოხტირკასთვის, ჰოსტომელისა და ბოროდიანკასთვის, იზიუმისთვის, მარიუპოლისთვის და უკრაინის ყველა სხვა ქალაქისა და თემისთვის“, - აღნიშნა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, კითხვა: „როგორ უზრუნველვყოთ უსაფრთხოების გარანტია უკრაინისა და ევროპისთვის“ აღარასოდეს იქნება რიტორიკული. „ჩვენ ამას არ დავუშვებთ“, - დასძინა მან.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

შერმადინს ვეღარ აჩერებენ



ესპანეთის ჩემპიონატის ტურის საუკეთესო მოთამაშედ ისევ გიორგი შერმადინი დასახელეს. ეს საპატიო ჯილდო „ტენერიფეს“ ქართველმა ცენტრმა მიმდინარე სეზონში მეოთხედ მოიგო. შუა კვირაში ტური იშვიათად იმართება, თუმცა ეს გახლდათ მე-19 ტურის გადადებული შეხვედრა, რომელიც თებერვალში უნდა გამართულიყო და კიდევ 3 მატჩთან ერთად სხვადასხვა მიზეზით გადაიდო.

გადადებულ შეხვედრაში, რომელიც „ტენერიფემ“ „ფუენლაბრადას“ წინააღმდეგ ჩაატარა, გიორგი შერმადინმა მე-19 ტურის მატჩებში ყველაზე მაღალი შედეგი დააფიქსირა და მატჩის MVP-ის ტიტულთან ერთად მთლიანად ტურის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც მოიპოვა.

ტენერიფელებს არ გასჭირვებიათ მეტოქის დამარცხება - 87:74. შერმადინმა ბრწყინვალედ ითამაშა და 23:39 წუთში 24 ქულა, 9 მოხსნა და 1 ჩაჭრა დააგროვა. გიორგიმ 9-დან 7 ორქულიანი და 11-დან 9 საჯარიმო ჩააგდო. ის სამწამიან ზონაში შეუჩერებელი იყო და 11 საჯარიმო სროლა ამის ნათელი დასტურია. შერმადინთან ერთად თავი ფინელმა საშუ სალინმა გამოიჩინა, რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა.

ამირან გურიელიძე